

**-ვს სუფიქსიანი ზმნების ვნებითი გვარის ფორმათა ნაკრები  
 რმო-კილოთა გორა ჯგუფში**

ქართულ ენაში დრო-კილოთა აწმყოს ჯგუფში **ი-** და **ე-** პრეფიქსებით ნაწარმოები ვნებითი გვარის ზმნათა ფორმები შესაბამისი მოქმედებითის ფორმათაგან კარგადაა გარჩეული: **ხატავს** (მ ხ ა ტ ვ ა რ ი ს უ რ ა თ ს) — **იხატება** (ს უ რ ა თ ი), **ზრდის** (დ ე დ ა შ ვ ი ლ ს) — **იზრდება** (შ ვ ი ლ ი), **უხატავს** (მ ხ ა ტ ვ ა რ ი ა მ ხ ა ნ ა გ ს ს უ რ ა თ ს) — **ეხატება** (ა მ ხ ა ნ ა გ ს ს უ რ ა თ ი), **უზრდის** (ძ ი ძ ა დ ე დ ა ს შ ვ ი ლ ს) — **ეზრდება** (დ ე დ ა ს შ ვ ი ლ ი) და სხვ. დრო-კილოთა ნამყო ძირითადის ჯგუფში ეს განსხვავება მინიმუმამდეა დაყვანილი. ვნებითი მოქმედებითისაგან ან იმით განსხვავდება, რომ ვნებითს თავსართი აქვს, მოქმედებითს კი არა, ან კიდევ იმით, რომ ვნებითს სხვა თავსართი აქვს, მოქმედებითს კი სხვა თავსართი (ქცევისა): **დახატა** (მ ხ ა ტ ვ ა რ მ ა ს უ რ ა თ ი) — **დაიხატა** (ს უ რ ა თ ი), **დაუხატა** (მ ხ ა ტ ვ ა რ მ ა ა მ ხ ა ნ ა გ ს ს უ რ ა თ ი) — **დაეხატა** (ა მ ხ ა ნ ა გ ს ს უ რ ა თ ი), **გაზარდა** (დ ე დ ა მ შ ვ ი ლ ი) — **გაიზარდა** (შ ვ ი ლ ი), **გაუზარდა** (ძ ი ძ ა მ დ ე დ ა ს შ ვ ი ლ ი) — **გაეზარდა** (დ ე დ ა ს შ ვ ი ლ ი). რამდენადაც ერთპირიან ვნებითსაც **ი-** თავსართი აქვს და სასუბიექტო ქცევის თავსართიც შესაბამისი მოქმედებითში **ი-** არის, ნამყო ძირითადაც და კავშირებით მეორეში ვნებითის ფორმები სავსებით ემთხვევა შესაბამისი მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმებს. **ნამყო ძირითადი** (რა ქნა?) — **მან კიქა წყლით აივსო** და **კიქა აივსო წყლით**; **კავშირებითი მეორე** (რა უნდა ქნას?) — **მან კიქა წყლით უნდა აივსოს** და **კიქა უნდა აივსოს წყლით**.

-**ევ** სუფიქსიანი ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნათა შესაბამისი ვნებითები **ი-** პრეფიქსითაა ნაწარმოები: **დანგრევს** (ის მას) — **დაინგრევა** (ის); **დაარღვევს** (ის მას) — **დაიარღვევა** (ის); **გაარკვევს** (ის მას) — **გაიარკვევა** (ის); **დააქცევს** (ის მას) — **დაიქცევა** (ის)... ეს ზმნები ფუძედრეკადები არიან: **-ევ** სუფიქსი მათ დრო-კილოთა აწმყოს ჯგუფში მოუღიოთ, დრო-კილოთა ნამყო ძირითადის ჯგუფში კი სუფიქსიულ **ე** ხმოვანს **ი** ხმოვანი ცვლის და **ევ** ივ-ის სახით გვევლინება: **დანგრევს** — **დანგრივა**, **დაინგრევა** — **დაინგრივა**; **გაარკვევს** — **გაარკვივა**, **გაიარკვევა** — **გაიარკვივა**... **-ევ** სუფიქსი რომ ივ-ით შეიცვალა, ვ ბგერა ორ (ი და ა) ხმოვანს შორის იკარგებოდა ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში, დაკარგულია ახალ ქართულ სალიტერატურო ენაშიც და დღევანდელი ქართული დიალექტების უმრავლესობაშიც. საშუალო საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენაში ეს **ვ** შემონახული იყო. გვხვდება უფრო გვიანაც, მაგალითად, დ. გურამიშვილის ენაში, და XIX საუკუნეშიც: ილია ჭავჭავაძისა და ზოგი სხვა მწერლის ნაწერებში. რაც შეეხება **-ივ** სუფიქსის ხმოვნის ნაწილს — **ი-**ს, იგი ძველ ქართულში შენარჩუნებული იყო (**დაინგრია**, **დაიხია**) და ამის გამო ერთი მხრით, ვნებითის და, მეორე მხრით, მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმები ნამყო ძირითადაც და კავშირებითის მეორეში ერთმანეთს ემთხვეოდა.

უფრო გვიან დაიწყო ვნებითის ფორმების გამარტივება და, ამრიგად, ვნებითის ფორმები თანდათანობით გარჩეულ იქნა მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმებისაგან. გარჩევა სხვადასხვა საშუალებით მოხდა.

ა) ვნებითის ფორმებმა დაკარგა სუფიქსისეული ი ხმოვანი, ხოლო სასუბიექტო ქცევის ფორმებმა ეს ი შემოინახეს. ვნებითში დაინგრია-საგან ი-ს დაკარგვის შედეგად მივიღეთ დაინგრა, ხოლო მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმა დარჩა უცვლელად: დაინგრია. ამის მსგავსად: ვნებ. დაირღვა, მოქმედ. სასუბიექტო ქცევა — დაირღვია, ვნებ. დაიმტვრა, მოქმედ. სასუბიექტო ქცევა — დაიმტვრია და ა. შ. ამასთან, მეორე კავშირებითში კავშირებითის მაწარმოებელი ი სუფიქსი -ე სუფიქსმა შეცვალა: დაინგრიოს — დაინგრეს, დაირღვიოს — დაირღვეს, დაიმტვრიოს — დაიმტვრეს.

ბ) ვნებითი აღწერილობითადაა ნაწარმოები: მოიწვია — მოწვეულ იქნა, დაიძლია — დაძლეულ იქნა და მისთ.

გ) ზოგჯერ მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმები არ იხმარება. მაგალითად, გვაქვს ნეიტრალური (საარვისო) ქცევის ფორმა დალია (მან იგი), საობიექტო (სასხვისო) დაულია (მან მას იგი), მაგრამ არ იხმარება სასუბიექტო დაილია (მან იგი); ასევე, გვაქვს ნეიტრალური გადარია (მან იგი), საობიექტო გადაურია (მან მას იგი), მაგრამ არ იხმარება სასუბიექტო გადაირია (მან იგი). ასეთ შემთხვევებში სუფიქსისეული (ან სუფიქსისეულად გაგებული ფუძისეული) ი შემონახულია და ვნებითის ფორმებია: დაილია (იგი), გადაირია (იგი)...

დ) ზოგჯერ ი- პრეფიქსიანი ვნებითი არა გვაქვს, ორპირიან მოქმედებითს შეესაბამება ე პრეფიქსიანი ვნებითი, რომელსაც მხოლოდ ერთი პირის გაგება აქვს (დაიტია მან იგი — დაეიტია იგი). ასეთ შემთხვევებშიაც ი ხმოვანი შემონახულია.

ამ პროცესს ალბათ ხელი შეუწყო იმანაც, რომ -ეე აწმყოს ფუძის საწარმოებელ აფიქსად იყო გაგებული და დრო-კილოთა ნამყო ძირითადის ჯგუფში მისი უქონლობა სრულიად ბუნებრივი ჩანდა (მდრ. ჩააცმევს — ჩააცვა, წაართმევს — წაართვა).

ორპირიანი ვნებითები (ე- პრეფიქსიანები) ერთპირიანებს (ი- პრეფიქსიანებს) მიჰყვება: დაიმტვრა (იგი) — დაემტვრა (მას იგი), დაიბნა (იგი) — დაებნა (მას იგი)...

მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში აქა-იქ ჯერ კიდევ ვხვდებით ერთპირიანი ვნებითის ისეთ ფორმებს, რომლებიც შესაბამისი მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმებს ემთხვევა: „... და ჩემს ლექსებში გადაიმტვრიოს (= გადაიმტვრეს) შემოქმედების ახალი სახრე“. — ი. გრიშაშვილი, „პეტერბოვის შადრევნები“.

-ივ სუფიქსიანი ფორმები და ზმნის შესაბამისი უღვლილება ამჟამადაცაა დაცული ქართული ენის ზოგ აღმოსავლურ დიალექტში, ვთქვათ, ქიზიყურში, სიდაც -ევ სუფიქსიანი ზმნის ი- პრეფიქსიანი ვნებითი ნამყო ძირითადში ასე იღვლის: მე დავიმტვრი(ვ)ე, შენ დავიმტვრი(ვ)ე, ის დავიმტვრი(ვ)ა, ჩვენ დავიმტვრი(ვ)ენით, თქვენ დავიმტვრი(ვ)ენით, ისინი დავიმტვრივნენ; სალიტერატურო ქართულში კი ამგვარ ზმნათა უღვლილება სხვა ზმნათა უღვლილებას მიჰყვა და ასეთი ფორმები მოგვცა: მე დავიმტვერ(ი), შენ დავიმტვერ(ი), ის დავიმტვრა, ჩვენ დავიმტვერით, თქვენ დავიმტვერით, ისინი დავიმტვრნენ; მე დავიმტვრე, შენ დავიმტვრე, ის დავიმტვრეს, ჩვენ დავიმტვრეთ, თქვენ დავიმტვრეთ, ისინი დავიმტვრნენ.

ზემოთქმულის მიხედვით სათანადო ფორმები ვნებითისა ნამყო ძირითადას და კავშირებითს მეორეში თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შემდეგი სახით წარმოგვიდგება შესაბამისი მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმებთან შეფარდებით.

აბნევს (ვააბნევს, დააბნევს...): დაიბნია, გაიბნია (მან იგი), დაიბნიოს, გაიბნიოს (მან იგი) — დაიბნა, გაიბნა (იგი), დაიბნეს, გაიბნეს (იგი): „მტვერიც მალე გაიბნა ჰაერში“. — (ხ. კლდ.).

ათრევს (შეათრევს, გაათრევს...): შეითრია, გაითრია (მან იგი), შეითრიოს, გაითრიოს (მან იგი) — შეეთრია, გაეთრია (იგი), შეეთრიოს, გაეთრიოს (იგი).

აზღვევს (დააზღვევს): დაიზღვია (მან თავი), დაიზღვიოს (მან თავი) — დაეზღვია (იგი), დაეზღვიოს (იგი).

აკმევს (დააკმევს): დაიკმია (მან იგი), დაიკმიოს (მან იგი) — დაეკმია (იგი), დაეკმიოს (იგი).

ამჩნევს (შეამჩნევს): შეიმჩნია (მან იგი), შეიმჩნიოს (მან იგი) — შეიმჩნა, შეიმჩნეულ იქნა (იგი), შეიმჩნეს, შეიმჩნეულ იქნეს (იგი).

ამშევს (დაამშევს): დაიმშია (მან თავი), დაიმშიოს (მან თავი) — დაიმშა (იგი), დაიმშეს (იგი): „ხალხს ლექსი უნდა, ხალხი დაიმშა“. — (ი. გრიშ.).

ამტვრევს (დაამტვრევს): დაიმტვრია (მან იგი), დაიმტვრიოს (მან იგი) — დაიმტვრა (იგი), დაიმტვრეს (იგი).

ამღვრევს (ამღვრევს): აიმღვრია (მან იგი), აიმღვრიოს (მან იგი) — აიმღვრა (იგი), აიმღვრეს (იგი): „თუღემ წყალი მიუგლო, სარუე აღიდლა, აიმღვრა“. — (ვაჟა). გული აემღვრა.

ამსხვრევს (დაამსხვრევს): დაიმსხვრია (მან იგი), დაიმსხვრიოს (მან იგი) — დაიმსხვრა (იგი), დაიმსხვრეს (იგი).

ამწყვდევს (მოამწყვდევს): მოიმწყვდია (მან იგი), მოიმწყვდიოს (მან იგი) — მოემწყვდია || მოემწყვდა (იგი), მოემწყვდიოს || მოემწყვდეს (იგი).

ანგრევს (დაანგრევს): დაინგრია (მან იგი), დაინგრიოს (მან იგი) — დაინგრა (იგი), დაინგრეს (იგი).

დაღვევს, გადაღვევს (= გადაჩხეს): დაიღვია, გადაიღვია (მან იგი), დაიღვიოს, გადაიღვიოს (მან იგი) ა რ ი ხ მ ა რ ე ბ ა — დაიღვია, გადაიღვია (იგი), დაიღვიოს, გადაიღვიოს (იგი): „თუ შენ ის გინდა, რომ მომკლა, გადავიღვიო კლდეზედა“? — (ვაჟა).

ანთხევს (ამოანთხევს): ამოინთხია (მან იგი), ამოინთხიოს (მან იგი) — ამოინთხა (იგი), ამოინთხეს (იგი).

გადანთხევს (- გადაკარავს): გადაითხია (მან იგი), გადაითხიოს (მან იგი) ა რ ი ხ მ ა რ ე ბ ა — გადაითხია (იგი), გადაითხიოს (იგი): „ერთი კვირაა, ალუდი გადაითხია საღამა“. — (ვაჟა).

ანჭღრევს (დაანჭღრევს): დაინჭღრია (მან იგი), დაინჭღრიოს (მან იგი) — დაინჭღრა (იგი), დაინჭღრეს (იგი).

არბევს (დაარბევს): დაირბია (მან იგი), დაირბიოს (მან იგი) — დარბეულ იქნა (იგი), დაირბეს, დარბეულ იქნეს (იგი).

არევს: აირია (მან იგი), აირიოს (მან იგი) ა რ ი ხ მ ა რ ე ბ ა — აირია (იგი) აირიოს (იგი): „(წეროები)... აირივნენ ჰაერში“. — (ვაჟა); „გაჩნდა ხალხში ლაპარაკი: წყევლა, ლანძღვა, მუქარა აირია ერთმანეთში“. — (ნ. ლომ.); „თავზარი დაეცა მტრის ჯარს, აირივნენ და გაიფანტნენ“. — (თ. რაზ.); „ღელაკაცებში მამაკაცებიც აირივნენ.“ — (შ. არაგვ.);

„ცა აირია, დაბნელდა უცებ და წამოვიდა სეტყვა შხუილით“: — (ილია); „მღვდელი აირია, ენახე, რომ მოენამა თვალები“: — (ილია); „იასონი გაწითლდა და აირია, ალბათ ცოლისა შერცხვა“: — (ე. ნინოშ.).

გადარევის: გადაირია (მან იგი), გადაიროს (მან იგი) არ ი ხ მ ა რ ე ბ ა — გადაირია (იგი), გადაიროს (იგი): „ვაი, თუ... გადარეული უფრო გადაიროს“ — (ილია); „სად იყავი, ადამიანო, ა? შიშით გადავირიეთ“ — (რ. გვეტ.).

ლღვის (ღალღვის, გამოღღვის, ამოღღვის): დაილია, გამოილია, ამოილია (მან იგი), დაილიოს, გამოილიოს, ამოილიოს (მან იგი) ჩვეულებრივ არ ი ხ მ ა რ ე ბ ა — დაილია, გამოილია, ამოილია (იგი), დაილიოს, გამოილიოს, ამოილიოს (იგი): „ნათი არ ამოილიოს (ლამფაში“: — (ლ. ქიაჩ.).

არკვევს (გამოარკვევს): გამოირკვია (მან იგი), გამოირკვიოს (მან იგი) — გამოირკვია (იგი), გამოირკვევს (იგი).

არყვევს (შეარყვევს, მოარყვევს...): შეირყვია, მოირყვია (მან იგი), შეირყიოს, მოირყიოს (მან იგი) — შეირყა, მოირყა (იგი), შეირყეს, მოირყეს (იგი).

არწივს (ღაარწივს): დაირწია (მან იგი), დაირწიოს (მან იგი) — დაირწა (იგი), დაირწეს (იგი).

არღვევს (გაარღვევს, ღაარღვევს): გაირღვია, დაირღვია (მან იგი), გაირღვიოს, დაირღვიოს (მან იგი) — გაირღვა, დაირღვა (იგი), გაირღვევს, დაირღვევს (იგი): „უცებ მეფემ თვალი მოჰკრა: ხალხი გაირღვა შუაზე“: — (ილია).

შეიქცევს, დაიქცევს: შეიქცია, დაიქცია (მან იგი), შეიქციოს, დაიქციოს (მან იგი) — შეიქცეულ იქნა, დაიქცა (იგი), შეიქცეულ იქნეს, დაიქცეს (იგი).

აჩვევს (შეაჩვევს, ღააჩვევს...): შეიჩვია, დაიჩვია (მან იგი), შეიჩვიოს, დაიჩვიოს (მან იგი) — შეიჩვეულ იქნა, დაიჩვეულ იქნა (იგი), შეიჩვეულ იქნეს, დაიჩვეულ იქნეს (იგი).

დაძლევს: დაიძლია (მან იგი), დაიძლიოს (მან იგი) — დაძლეულ იქნა (იგი), დაძლეულ იქნეს (იგი).

მოიწვევს: მოიწვია (მან იგი), მოიწვიოს (მან იგი) — მოიწვეულ იქნა (იგი), მოიწვეულ იქნეს (იგი).

გაიხვევს: გაიხვია (მან იგი); გაიხვიოს (მან იგი) — გაიხვია (იგი), გაიხვიოს (იგი).

გაიძმრებს, შეიძმრებს: გაიძმრია, შეიძმრია (მან იგი), გაიძმრიოს, შეიძმრიოს (მან იგი) — გაიძმრა, შეიძმრა (იგი), გაიძმრეს, შეიძმრეს (იგი).

დაიტყვის: დაიტია (მან იგი), დაიტიოს (მან იგი) — დაეიტია (იგი), დაეიტიოს (იგი).

იკვლევს (გამოიკვლევს): გამოიკვლია (მან იგი), გამოიკვლიოს (მან იგი) — გამოიკვლევს (იგი), გამოიკვლევს (იგი).

გადაიქცევს: გადაიქცია (მან იგი), გადაიქციოს (მან იგი) — გადაიქცა (იგი), გადაიქცეს (იგი): „იმოდენა ურემი... არ გადაიქცეს და არ დაგვიტანოს“: — (თ. რაზ.); „(ალაზა) მივიდა სულშეხუთული და გადაიქცა ზღურბლზედა“ — (ვაჟა); „გულში ისე ვიკარ ხელი, რომ კინალამ გადავიქცი“: — (ილია).

გადაიწივს: გადაიწია (მან იგი), გადაიწიოს (მან იგი) — მაინც: გადაიწია (იგი), გადაიწიოს (იგი): „გადაიწია ტყის შტოები და რამდენიმე შეიარაღებული კაცი გამოხტა“: — (ა. ყაზბ.); „შემოსავლის ფარდაგი გადაიწია“: — (შ. დად.).

გამიჭრებს: გამიჭრია (იგი), გამიჭრიოს (იგი); „სიცივე მოტყდა, ქარი ჩაეარდა და განთიადთან ერთად ნისლი გამიჭრია“: — (ა. ყაზბ.).

და ა. შ.